**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მერცხალა



მერცხალა, თევზმონაზონი

მერცხალა, თევზმონაზონი (Chromis chromis, Linnaeus 1758), თევზი ქრომისებრთა გვარიდან (Chromis Cuvier). ძირითადად მათი სიგრძეა 8–10 *სმ*, ზოგის – 25 *სმ*. მოზარდი თევზი შეფერილობით ღია ცისფერია, ზრდასრული – მოყავისფრო-წაბლისფერი. ბინადრობს ქვიან, წყალმცენარეებით მდიდარ ადგილებში. იკვებება პლანქტონითა და ბენთოსური ორგანიზმებით. ქვირითს ყრის მაისიდან აგვისტომდე. გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, აზორისა და კანარის კუნძულებთან, აფრიკის დას. სანაპიროსთან, შავ ზღვაში.

საქართველოში გვხვდება ზღვის სანაპიროსთან. ერთადერთი თევზია შავ ზღვაში, რ-იც იკვებება მედუზებით.

***ნ. ნინუა***